KA030198822097020

№ 01-5963 **10 / ივნისი / 2020 წ.**

ადმინისტრაციის უფროსის მოვალეობის
შემსრულებელს ქალბატონ თინათინ ხარძიანს

ქალბატონო თინათინ

როგორც თქვენთვის ცნობილია ახალი კორონავირუსის (SARS-COV-2) გავრცელების და ქვეყანაში ეპიდემიოლოგიური სიტუაციის კონტროლის მიზნით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 01-190/ო ბრძანებით, განისაზღვრა SARS -CoV- 2 სავალდებულო ტესტირებას დაქვემდებარებულ პრიორიტეტულ პირთა ნუსხა, ნუსხა მოიცავს ისეთ ჯგუფებს როგორიცაა, ნებისმიერ სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებაში მოხვედრილი პაციენტი ცხელებით და/ან პნევმონიის დიაგნოზით; ასევე საბაჟო-გამშვებ და სასაზღვრო პუნქტებში დასაქმებული პირები, მათ შორის, სამედიცინო და ეპიდემიოლოგიური სამსახურების წარმომადგენლები; ყველა სტაციონარული სამედიცინო დაწესებულების მიმღების, ინტენსიური თერაპიისა და რეანიმაციულ განყოფილებებში დასაქმებული პერსონალი და ეპიდემიოლოგები და სხვა.

ასევე, „საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვების განმახორციელებელი ავტოსანტრანსპორტო საშუალებების მძღოლების (გარდა ტრანზიტისა) ეპიდემიოლოგიური კონტროლი და კარანტინის წესების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების მინისტრის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ერთობლივი ბრძანების (N1-1/208/N01-55/ნ/N127) თანახმად საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს განესაზღვრა ვალდებულება საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვების განმახორციელებელი ავტოსანტრანსპორტო საშუალებების მძღოლების ტესტირების უზრუნველყოფის შესახებ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გთხოვთ, უზრუნველყოთ SARS-COV-2 -ის ანტისხეულების და ანტიგენის განსაზღვრისათვის საჭირო სწრაფი ტესტების (საჭიროების შემთხვევაში სკარიფიკატორი შესაბამისი რაოდენობით გადაცემა და მიწოდება დანართით განსაზღვრულ დაწესებულებებზე მითითებული რაოდენობის შესაბამისად.

პატივისცემით

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის პირველი მოადგილე

თამარ გაბუნია